პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 სექტემბერი სამშაბათი 1971 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 205 (15115)

ხუთწლეული — ვადამდე!

□ თბილისელი ჩარხმშენებლები საოქტომბრო ვასტფეზე

□ უპატაკებენ ტყიბულელი მეჩაიეები

□ რვა თვის დავალება 126 პროცენტით

გეგმის გადამეტებით

□

მოკრეფილია 5.006 ტონა ჩაის ფოთოლი

□

ტყიბულელ მეჩაიეებს მიმდინარე წელს განსაკუთრებით არახელსაყრელი კლიმატური პირობები შეექმნათ. აღრე გაზაფხულის წვიმებმა და ივლის-აგვისტოს ხანგრძლივმა გვალვებმა ძლიერ დააზიანა ჩაის პლანტაციის დიდი ნაწილი.

მიუხედავად ამისა, კოლმეურნეებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა დაძლიეს ყველა სიძნელე და 6 სექტემბრისათვის უზრუნველყვეს ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება.

ტყიბულელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოწიფოს მიეყიდა 5.006 ტონა ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.000 ტონისა. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 4.300 კილოგრამი ფოთოლი.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღების საქმეში თავი გამოიჩინა ბევრმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა, მეჩაიემ. საწირის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ქათამაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ო. ზარნაძე) გეგმით გათვალისწინებულ 560 ტონის ნაცვლად მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩაბარა 578 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, სოჩხეთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. კუბლაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ი. კუბლაშვილი) გეგმით გათვალისწინებული 413 ტონის ნაცვლად დაამზადა 441 ტონა ფოთოლი. ასევე კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს კისორეთის, ძმეთისს, ბუეთის, ძიროვნის, გურნის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ტყიბულელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 300 ტონა ფოთოლი.

ლირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს. ამ დევიზით შრომობენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის მშრომელები. მოძრაობა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდების მოპოვებისათვის თანდათან ფართოვდება. დამკვრელთა რიგებს ყოველთვიურად ახალ-ახალი ადამიანები ემატებიან.

ჩარხმშენებელთა შრომას განსაკუთრებული ენთუზიაზმი ემჩნევა მიმდინარე წელს. ამიტომაც არის, რომ საწარმოო გეგმები გადაჭარბებით სრულდება. ამაში ცოტა წვლილი რიდი მიუძღვით ამ მოწინავე კომუნისტებს, რომლებსაც სურათზე ხედავთ. მარცხნიდან — მღარავი ე. ჯინჭარაძე, №8 საამქროს საიარაღო მეურნეობის უფროსი მ. მეავანაძე, ოსტატი ვ. ტურანოსოვი, № 5 საამქროს საიარაღო საწყობის გამგე ლ. უჩანეიშვილი, ელექტრომემონტაჟე ლ. რამიშვილი, ელექტროზეინკალი უ. ფუხაევი, ხარატები გ. ბაშარული და ა. ხარატონაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

ლირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს!

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე შეჯიბრება მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების, სოციალისტური კოლექტივიზმის ფორმირების მძლავრ საშუალება იყო და არის. იგი მუდამ იყო საჯარმოო ძალების აღმავლობის, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის, მშრომელთა აღზრდის, წარმოების მართვაში მათი ჩაბმის ეფექტიანი მეთოდი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

შეჯიბრება — წინსვლის გზერკეტი

საბჭოთა ხალხი დიდი პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმით შრომობს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ჭარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში — ყველგან ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. ცალკეულმა ბრიგადებმა და დამკვრელებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. თვითეული მშრომელი, რომელ უბანზეც უნდა მუშაობდეს, მთელი შესაძლებლობით ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში.

ამ მალალი მიზნით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუჯობესებების შესახებ". ეს დადგენილება ღრმად აშუქებს შეჯიბრების მნიშვნელობას, თავისებურებებსა და ამოცანებს კომუნისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე და უჩვენებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობის გზებს.

კომუნისტური მშენებლობის ახლანდელი პერიოდი ხასიათდება მისი მასშტაბებითა და ამოცანების სირთულით, ხალხის მასების შემოქმედებითი აქტივობის უმაგალითო აღმავლობით. მერვე ხუთწლედის შესრულების დროს მიღწეული წარმატებებით და სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ახალი პერსპექტივებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ეძებენ დამატებით შესაძლებლობებს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის. დამკვრელური ვახტის თვითეული დღე მდიდარია შრომითი მამაცობის მაგალითებით, შეჯიბრების მონაწილეთა ინიციატივით, მათი მეცადინეობა ახლა ხმარდება იმას, რომ ვადამდე შეასრულონ წლიური გეგმა და მეცხრე ხუთწლედი მთლიანად, ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ამ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მსვლელობაში მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა ახალი პატრიოტული ინიციატივა გამოიჩინეს. მათ განსაზღვრეს თავიანთი კონკრეტული მიზნები და მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის ვადამდე შესრულებისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ამ თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. დაიბადა ახალი თაოსნობა. თბილისის სართავ-სატრიოტაჟო კომბინატის მრთველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. არათანაშვილმა ვალდებულება იკისრა ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში შეასრულოს. ამ თაოსნობის დაწყებიდან უკვე კარგახანი გავიდა. მრთველი დაპირებას გადაჭარბებით ასრულებს. არათანაშვილს როგორც მონაფიესავე, ისე სხვა საწარმოებში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ხუთი დღის გეგმის ოთხ დღეში შესრულებისათვის მებრძოლთა რიგები დღითიდღე იზრდება.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ საქართველოს სსრ მრეწველობამ ვადამდე — 25 აგვისტოსათვის შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის გეგმა. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით წარმოებულია რამდენნიმე ათეული მილიონი ფოლადი, თუჯი, ნავგლინი, ფეროშენადნობი, ქვანახშირი, ლითონსაჭრელი ჩარხები, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია.

შრომითი გამარჯვებანი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისა, რომლებიც წარმატებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დამაჯერებლად მოწმობენ სოციალისტური შეჯიბრების მძლავრ ძალას, იმას, რომ მშრომელები უადრესად არიან დაინტერესებული მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განხორციელებით, მხურვალედ ესწრაფვიან მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

შეჯიბრების მონაწილეთა თვითეულ კოლექტივს თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს. მრეწველობაში საჭიროა განუხრელად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, არსებულ საწარმოო ფართობზე ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებით გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, ავამაღლოთ მისი ხარისხი. მაქსიმალურად შევამციროთ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის ვადები, უზრუნველვყოთ სამუშაო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სრულვყოთ შრომის, წარმოების და მართვის ორგანიზაცია.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ვალია მიიღონ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია, შეამციონონ მისი თვითღირებულება. იბრძოლონ ყველა კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელად ზრდისათვის, განამტკიცონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაჩქარონ წარმოების ელექტრიფიკაციისა და ქიმიზაციის, მიწის მელიორაციის ტემპი. მომსახურების სფეროში შეჯიბრების მთავარი მიმართულებაა ამ დარგის გადაქცევა ინდუსტრიულ დარგად, საბჭოთა ხალხის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება.

ხუთწლედის მოწინავეთა უმდიდრესი გამოცდილება ჩვენი საერთო მიღწევაა, იგი სამაგალითოთა თვითეული საწარმოო კოლექტივისათვის. საჭიროა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა გააძლიერონ ამ გამოცდილების პროპაგანდა. ახლის, პროგრესულის გავრცელებაში ბევრი რამ უნდა გააკეთონ სამინისტროებმა. მრეწველობის მართვის დარგობრივი მეთოდი, ეკონომიური რეფორმა ხელსაყრელ პირობებს ქმნის მოწინავე გამოცდილების გაზიარებისათვის, მატერიალური წახალისებისა და მორალური სტიმულირების სწორი და უნარიანი შეხამებისათვის. მაგრამ სამწუხაროა, რომ ზოგიერთი საწარმოო კოლექტივი, დარგობრივი საბინისტრო, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია სრულყოფილად ვერ იყენებს ამ შესაძლებლობებს, სუსტად ნერგავს მოწინავეთა გამოცდილებას. ზოგან შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ რესპუბლიკის ათობით საწარმომ ვერ შეასრულა რვა თვის გეგმა, საშობლოს დააკლო რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა განაზოგადონ, აწალიზონ, გაუჯეთონ და სრულყონ შეჯიბრების ხელმძღვანელობის პრაქტიკა. მისი შედეგების შეფასების დროს უპირველესი მნიშვნელობა უნდა დაუთმონ არა მარტო რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ იმასაც, თუ რამდენად ეფექტიანად უძღვებიან წარმოებას, როგორია პროდუქციის ტექნიკური დონე და ხარისხი.

პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის მიზანი უნდა იყოს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა შემდგომი შემოქმედებითი ენერგიის ყოველი ღონისძიებით განვითარება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მატერიალური და სულიერი ძალების ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის, ხანგრძლივ ძოლო, სამოქმედო დოკუმენტია. ამ დადგენილების მიხედვით ღრმა ანალიზი უნდა გავუკეთოთ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, გავმოვიტანოთ კონკრეტული დასკვნები მისი უკეთ ორგანიზებისათვის, მასობრიობისათვის.

ხუთი დღის გეგმა — ოთხ დღეში!

დაპირებას ასრულებენ

თელავი. (საკ. კორ.). ოთხი წლის ისტორია აქვს წინდების ფაბრიკას (დირექტორი ვ. მღებრიშვილი). მაგრამ ამ ახალგაზრდა კოლექტივმა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს კარგად აუწყო ფეხი დ ყოველწლიურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს მის ხარისხს. თელავური მარკის წინდებს ახლა კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, არამედ მოძმე რესპუბლიკების მომხმარებლებიც. ახალგაზრდა ფაბრიკის კოლექტივი მუდამ აქტიურად ეხმაურება ინიციატივას და ყოველნაირად ცდილობს საწარმოს ყველა უბანზე მის ფართოდ დანერგვას.

საწარმოს კოლექტივმა ახალი ხუთწლედის პირველი დღიდანვე ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების ვადამდე შესრულებისათვის. ფეიერები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ნოვატორი მრთველის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მ. არათანაშვილის ინიციატივას: — ხუთი დღის გეგმა ოთხ დღეში! ამ ვალდებულების შესრულება პირველმა იკისრა მჭსოველმა ნ. არაბამეილმა. ფეიერმა იულისში 15.400 წყვილი წინდა მოჭსოვა, გეგმა კი 10.800 წყვილს ითვალისწინებდა. გამოშვებული პროდუქცია მოლიანად პირველი ხარისხისაა. მჭსოველმა აგვისტოში კიდევ უკეთეს შედეგებს მიაღწია.

ფაბრიკაში მოწინავე მჭსოველს მალე გამოეჩნდნენ მიმდევრები. შეჯიბრებამ სულ უფრო ფართოდ გაშალა ფრთები. მჭსოველმა ლ. ბაკურაძემ ივლისში 7.820 წყვილის ნაცვლად 8.680 წყვილი წინდა გამოიშვა. კიდევ უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ი. როსტომოვმა, ლ. კირკალიძემ. ივლისის გეგმა პირველმა 148 პროცენტით გაანაღდა, ხოლო მეორემ 135 პროცენტით. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით წყვილი წინდა მიაწოდეს.

მალე შეჯიბრებაში ბრიგადები ჩაებნენ. ქვესტატმა ვ. რატინამ, რომელიც 12 დღეზე ნაცვლად 20 დღეს ემსახურება და 4 მჭსოველი ჰყავს, ივლისის გეგმა 140 პროცენტით გაანაღდა, ქვესტატ ო. გიორგელაშვილის მჭსოველებმა კი დავალება 133 პროცენტით შეასრულეს. ხუთი დღის დავალებამ ოთხ დღეში დიდი გადაჭარბებით ასრულეს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევა ქვესტატი გ. ბაგმანიანი.

ფაბრიკის კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის 7 თვის დავალება 104,6 პროცენტით გაანაღდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,9 პროცენტით ამაღლა, მნიშვნელოვნად გაუუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

დიდი ოქტომბრის დიდებულად შეხვედრისათვის შეჯიბრება ფართებს ზლის. ხუთი დღის გეგმის ოთხ დღეში შესრულებისათვის მებრძოლთა რიგები ყოველდღე იზრდება.

თავდადებული შრომით

□ **თბილისი.** კამეოლური დართვის ფაბრიკამ 26 აგვისტოსათვის შეასრულა რვა თვის დავალება, გეგმის გადამეტებით მოახდინა 500 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია. აქ ფართოდ გაიშალა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. მრთველები დღითიდღე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებენ წარმოების ტექნოლოგიას, ნაწარმის ხარისხს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამუშაო ზონის გაფართოებას. ცალკეული მუშების ინიციატივას ხუთი დღის გეგმის ოთხ დღეში შესრულებისათვის ფაბრიკაში უკვე 250 მუშა გამოეხმაურა. ახლ მრთველები ა. სვანიშვილი, ლ. ჭაკვეტაძე, გ. საფანოვა, მჭეჩავები დ. ნონიაშვილი, ლ. იმერლიშვილი, მელენტე დ. ფეიქრიშვილი და სხვები 600-700 თითისტარს ემსახურებიან, ნორმა კი 300 თითისტარის მომსახურებას ითვალისწინებს.

□ **თბილისი.** „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს კოლექტივმა 126 პროცენტით შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა რვა თვის დავალება. სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გვირაბმშენებლებმა დიდი ოქტომბრის დღესასწაულის შესახვედრად გაშალეს, დაწინაურდნენ № 5 საგვირაბო რაზმის (უფროსი ა. ყურაშვილი), № 213 და № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლების (უფროსები ს. ჭურაძე და გ. ჯაფელი) კოლექტივები. მათ შესაბამისად 135, 124 და 115 პროცენტით გაანაღდეს რვა თვის დავალებანი.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის წინ

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში კომუნისტთა იდეური სიმწიფის შემდგომი ამაღლება განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს. პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებამ უნდა უზრუნველყოს მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე პოლიტიკური სწავლების ორგანიზებული დაწყება და ჩატარება მზარდი მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც ჩვენი პარტია უყენებს კადრების იდეურ აღზრდას.

პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგებსა და ახალი სასწავლო წლის ამოცანებს მიეძღვნა თათბირი, რომელიც 6 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პროპაგანდის განყოფილებათა გამგეები, პოლიტგანათლების კაბინეტების, გამგეები, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერების კათედრათა მასწავლებლები, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მუშაკები, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა.

მოხსენება „პარტიული განათლების სისტემაში 1970-1971 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლის ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ **დ. გოგოხიამ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი **ი. შევარდნაძე**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის სოლქო კომიტეტის მდივანი **მ. ხვარაცია**, საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე **ტ. ტაკაძე**, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ნ. ვასაძე**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ფოფხაძე**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის სოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე **ვ. კოკოევი**, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი **დ. მაღლაშვილი**, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე **ე. გვინჩიძე**, საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის მეორე მდივანი **ვ. საპრიკანი**, გაზეთ „ზარი ვოსტოკას" რედაქტორი **შ. ყარყარაშვილი.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ბანუყვაძემ.** (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ტოდორ ჟივკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცებაში თვალსაჩინო დამსახურებებისათვის, მხოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში მრავალი წლის აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1971 წ. 6 სექტემბერი.

ჩვენი სტუმრები

საუბარში მონაწილეობდნენ საკავშირო პროფსაბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები ს. ბელიაკოვი და ა. მაცაბერიძე.

5 სექტემბერს თბილისში მინსკიდან ჩამოვიდა ფაშიზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების წევრთა ჯგუფი.

დელეგაციას მეთაურობს გაერთიანების პრეზიდენტი იოზეფ როსენი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ანტიფაშისტური ყოფილკვირეული გაზეთის „დი ტატის" („მოქმედება") მთავარი რედაქტორი ვერნერ შტერტცენბახი, ფაშიზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების მდივნები ჰანს ენესი და მაქს ოპენჰაიმერი.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

6 სექტემბერს გერმანელი ანტიფაშისტები ეწვივნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბუხრაშვილს.

იმავე დღეს სტუმრები ეწვივნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას, სადაც ესაუბრნენ ამ საზოგადოების თავმჯდომარეს გ. მელაძეს.

გერმანელმა ანტიფაშისტებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მცხეთაში, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში.

დელეგაცია საქართველოში რვა სექტემბრამდე დარჩება. (საქდესი).

დოკუმენტების კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მომზადებული დოკუმენტების კრებულის VI ტომი „რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიმოწერა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან" (1919 წლის იანვარ-მარტი).

კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტები დაცულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში. მათი დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. (საკდესი).

მტკიცე საკვები ბაზა — მეცხოველეობას!

ახალუბნელები მიწდვრად

გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. მოხუცი და ახალგაზრდა ენერგიის დაუზოგავად შრომობს იმისათვის, რომ ზამთარში პირუტყვს არ მოაკლდეს ყუათიანი საკვები. ისინი მანქანებითა და ხელით ყველგან თიბავენ ბალახს — გზის პირებზე, ველებში— გაშრობის შემდეგ ზვინავენ. ახალუბნელმა კოლმეურნეებმა წელს გეგმით 400 ტონა საკვები უნდა დაამზადონ. ამ დღეებში ახალუბნელმა საკვებმომპოვებლებმა წლიური გეგმა უკვე შეასრულეს და პირობას იძლევიან სეზონის ბოლომდე 700 ტონა საკვები დაამზადონ. საკვებმომპოვებელთა ბრიგადაში, რომელსაც აკაკი სრეხელი ხელმძღვანელობს, მოწინავეთა შორის არიან კომუნისტი გიორგი გოგიაშვილი, ხვთისო ღვინაძე, რაშან და სიმონ გუნიტაშვილები, გიორგი მჭედლიშვილი, ლენტო და პავლე ბოლოთაშვილები, ოთხან ცხადიაშვილი.

ახალუბნელებმა რაიონში ხორბლის სარეკორდო მოსავალი მიიღეს. გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერის ნაცვლად 32,5 ცენტნერი ხორბალი გალეწეს, ნამჯა კი პირუტყვისათვის შეიგროვეს და დაზვინეს.

ხურაშვილი: ეზეში საკვების დაზვინვა მეცხოველეობის ფერმასთან.

ფოტო ვ. ბენგიშარისა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი იუწყება, რომ 1971 წლის 7 სექტემბერს მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-13 მოწვევის საქალაქო საბჭოს მეორე სესია.

სესია გაიხსნება დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 11 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ᲘᲒᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲐᲚᲬᲐᲠᲓᲐ

ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲭᲔᲡᲗᲐᲜ

ᲒᲖᲔ ᲪᲐᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲚᲘ ᲔᲙᲐᲚᲘᲞᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲘᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲔᲣᲤᲐᲠᲐ. ᲩᲠᲓᲘᲚᲨᲘ ᲕᲓᲒᲔᲑᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲣᲠᲔᲑᲗ ᲪᲘᲪᲚᲘᲗᲘᲗ ᲑᲠᲘᲐᲚᲐ ᲩᲐᲘᲚ ᲡᲐᲧᲠᲔᲤᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ“. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲩᲐᲘᲚ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡᲨᲘ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲘ ᲒᲣᲒᲣᲜᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ. ᲛᲘᲡ ᲪᲘᲪᲚᲕᲗᲐᲜ ᲡᲐᲧᲠᲔᲤᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲡᲬᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲝᲧᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲘ ᲓᲣᲧᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲗᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲮᲣᲪᲣᲑᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲩᲐᲘᲪᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲘᲢᲛᲣᲚᲘ ᲒᲣᲒᲣᲜᲘ ᲓᲐᲣᲧᲝᲤᲚᲘᲗ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲔᲡᲬᲠᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲠᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲣᲚᲘ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘ ᲠᲘᲗᲛᲘᲗ ᲐᲤᲘᲠᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲜᲐᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲘ ᲞᲐᲣᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲞᲘᲠᲘᲡᲙᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲐ ᲔᲬᲘᲜᲐᲓᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲠᲐᲭᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲙᲔᲜᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ჩინეთის ხელმძღვანელობის ლოზუნგები და საქმეები

ოქტომბერი

I.

ათ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის ხელმძღვანელმა პარტიამ აშკარად წამოაყენებინა განსაკუთრებული იდეურ-პოლიტიკური პლატფორმა თანამედროვეობის, მსოფლიო სოციალიზმის, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარების ძირითად საკითხებზე.

მათ მოახდინეს სოციალიზმის შეხედულებისა და საგარეო პოლიტიკის იმ მარქსისტულ-ლენინური პრინციპების რევიზია, რომლებიც ხორციელდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ათწლეულის განმავლობაში და განმაკიცებელი იყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის (1956 წ.) გადწყვეტილებებში. ამ რევიზიის ხანა შიდეა, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მათ შორის ჩინეთის კომუნისტური პარტიის, მიერ ფრთხილიად შემუშავებული საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ-ლენინური ხაზის საწინააღმდეგოდ ჩინეთის ხელმძღვანელობა წამოაყენეს თავიანთი „შემარცხენენ“ ტენდენციები, რომლებსაც თითქოს ნეტარ შეეწყოთ იმპერიალისტის „ბრძოლა“ „ორ ფრონტზე“ — „ერთ ფრონტზე — ამერიკელ იმპერიალისტებთან, ანტანტასა და ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებთან, ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის, და სპრიროზულ ზიანს აყენებს მათს საერთო საქმეს.

II.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარების განვითარებას ახასიათებს უწინარეს ყოვლისა მსოფლიო სოციალიზმის ძალების ზრდა, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობის განმტკიცება, ანტიიმპერიალისტური ფრონტის ძალების შეკავშირება. რევოლუციური ძალების ისტორიული შეტევა იმპერიალიზმის პოზიციებზე, მათი მსარდი აქტივობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში აიძულებს პეკინელ ლიდერებს გადასინჯონ თავიანთი ტაქტიკა, გამოიყენონ ხერხები, ხშირად ღმის საწინააღმდეგო, რასაც ისინი სულ ახლახან აცხადებდნენ.

დადგა დრო, როცა ჩინეთის ხელმძღვანელობა იძულებული გახდნენ ნაფიქალინიან სკიფრში შეინახეთ ზოგიერთი ულტრა-„მემარცხენე“ ლოზუნგები და ავანსცენიდან მოეშორებინათ ის პირები, რომლებმაც ყველაზე მეტად გაიტეხეს სახელი მეტისმეტი გულმოდგინებით „კულტურულ რევოლუციაში“ „ბოს ხაზის“ გატარებისას. მაოისტები ახალ ზიგზაგს მიმართავენ თავიანთ პოლიტიკაში. და კვლავ მაო და მისი ჯგუფი ცდილობენ — უკვე მერამდენედ! — „კულტურული რევოლუციის“ ბარბაროსული, მასობრივი რეპრესიებითა და ეშმაკობებით აღნიშნული ხანიათისათვის ბრალი დაღონ იმათ, ვისაც თვითონვე აკეზებდნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, ვისი ხელითაც იკაფავდნენ გზას თავიანთი ბატონობის დასამყარებლად. პეკინის პოლიტიკას ნაჩქარევად აძლევენ „რესპექტაბელურ“ სახეს. მას უფრო გაწაფული მეთოდებით ახორციელებენ.

მაგრამ ფაქტები ვვიჩვენებენ, რომ თუ პეკინის ტაქტიკაში შეტანილია ერთგვარი ცვლილებანი, ისინი გულისხმობენ მხოლოდ წინანდელი ხაზის დაჩქარებული განხორციელების ცდებზე ხელის აღებას და არა მისი მიზნების უარყოფას, მანვეარრების უფრო ეშმაკური ხერხების გამოყენებას, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც ჩინელი ხალხის მოტყუებისათვის, ისევე საერთაშორისო რევოლუციური, განმათავისუფლებელი ძალების დეზორიენტაციისათვის.

თუ პეკინში წინათ სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებენ სსრ კავშირი და სხვა მომმე სახელმწიფოები, უწოდებდნენ „ლალატს“, „იმპერიალისტთან შეთანხმებას“, ახლა ჩინეთის ხელმძღვანელობა, ასე განსინჯეთ, თვითონვე ვვიჩვენებ ასეთ სხვებს. თუ როგორ უნდა განსარიელონ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპი“ საფუძვლად დაედოს ჩინეთის სასახლო რესპუბლიკის და ამერიკის შეერთებული შტატების მოითხოვდა უთანხმოების მოგვარებას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, სოციალისტური ქვეყნების მოქმედების ერთიანობის მიღწევას იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს „კულტურული რევოლუციის“ ორგანიზატორები განაგრძობდნენ მტრობისა და ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, ცდილობდნენ მიეწერათ მათთვის ჩინეთის გარშემო. იმპერიალიზმთან შეთანხმებით, „რკალის“ შექმნის გეგმები. ამ საბაბით მაოისტებმა გააჩაღეს ეს ქვეყნის მილიტარიზაცია და მოუწოდებდნენ: „იმუსდეთ შიშნილისათვის, იმუსდეთ ომისათვის“. შემაძრწუნებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მაოისტები მოუწოდებდნენ მოეხდინათ „კულტურული რევოლუცია“ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, ამასთან ამბეკიცებდნენ, თუ ასეთი რევოლუცია არა,... „განხორციელდება კაპიტალიზმის რესტავრაციაა“. პეკინი იქამდე მივიდა, რომ მოუწოდებდა, „დავამცველ-დროო თავმჯდომარე მაო ძე-დუნის იდეების დროშა მთელ დედამიწაზეო“.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა, რომელიც 1969 წელს გაიმართა, მოწოდებული იყო დაეგენინებინა სამხედრო-ბიუროკრატიული წესები ჩინეთში. მაო ძე-დუნმა და მისმა ჯგუფმა არსებითად ახალი კომუნისტური პარტიის შენება დაიწყეს, უპირველეს და მარქსისტულ-ლენინური პარტიის პოლეტიკური, იდეური და ორგანიზაციული პრინციპები. ყრილობაზე მაოს იდეები „თანამეშრეკელ ეპოქის მარქსიზმ-ლენინიზმად“ გამოაცხადეს. ჩინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა, რომელმაც „ულმობელი ბრძოლა“ გამოუცხადა „თანამეშრეკელ რევიზიონიზმს“, რადაც, პეკინში გულისხმობენ მეტი წილი სოციალისტური ქვეყნებისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას, ამრიგად, წარმოადგენდა მაოიზმის, როგორც ანტილენინური, ნეგრილმარქსისტულ-ლენინურ-შოვინისტური იდეოლოგიის იდეურ და პოლიტიკურ დებულებათა ევოლუციის ახალ ეტაპს.

მაგრამ ვერც „კულტურულმა რევოლუციამ“, ვერც „ჩინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის ხაზმა“ ვერ მოუტანა მაოისტებს სასურველი შედეგები, პირიქით, 1966-1969 წლებში გაჯერმავა კრიზისი და კიდევ უფრო გააძლიერა ქვეყნის საერთაშორისო იზოლაცია. მართალია, ჩინეთის ხელმძღვანელობამ შეძლო ძალდატანების, ტერორისა და ფიმაგოგიის მეთოდებით ჩაეხშო მისი კურსისადმი აშკარა წინააღმდეგობა და თავს მოეხვია იგი ქვეყნისათვის, მაგრამ მას არ ანალდელ კარ დაეანახა, რომ ასეთი კურსით ვერ დაძლევდა ვერც საშინაო კრიზისს, ვერც იზოლაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩინეთის ხელმძღვანელებს მით უმეტეს არ შეეძლოთ არ შეეგნოთ თავიანთი მარცხისა და თავიანთი გეგმების კრახის მთელი სიღრმე, როცა კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირმა მოსკოვში კვლავ დაადასტურა კომუნისტთა მსოფლიო არმიის ურყევი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი და ცხადყო კომუნისტთა რიგების მზარდი ერთიანობა ამ პრინციპულ საფუძველზე. თათბირმა განამტკიცა პოზიციები საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა მოძრაობისა, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური მოძრაობაა, ანტიიმპერიალისტური ძალების ავანგარდია მშვიდობის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. თათბირმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის, სკკპ როლსა და ბრძოლაში, სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

III.

ჩინეთის ხელმძღვანელობის მზრივ საბჭოთა კავშირისადმი მტრული კურსის განგრძობის თავისებური საშუალება გახდა დაფინებული პროპაგანდა დემაგოგიური, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სრულიად უცხო თეზისისა „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩინეთის ხელმძღვანელობა ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, რომელიც ისეროფეს ასრულებდეს ეტსალატაციისა და ჩაგრის საერთაშორისო სისტემის ბარანტისა და დამცველის როლს, რომელსაც ნერეგა, სიკეთილი და ტანჯვა მოაქვს მსოფლიოს ბევრი ხალხისათვის, დაეყენოს საბჭოთა კავშირის — ლენინიზმის სამშობლოს, პირველი სოციალისტური ქვეყნის, ყველა რეაქციული ძალების ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ბურჯის გვერდით.

„ზესახელმწიფოთა თეორია“ პეკინელ ლიდერებს იმავე მიზნისათვის დასჭირდათ, რომლისთვისაც სჭირდებოდათ თავდანი წინანდელი „თეორია ქალაქის წინააღმდეგ მსოფლიო სოფლის ბრძოლისა“. ერთნიც და მეორეშიც კლასობრივი მიდგომა შეცვლილია ნაციონალისტური, დიდმპყრობელური მოტივებით. როდესაც ჩაეფუშნა ცდები ბეეყოთ მსოფლიო ეკონომიურად განვითარებულ „ქალაქად“ და თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ანუ განვითარებად „სოფლად“, პეკინში გადაწყვეტეს შეეკვეთათ „დარტყმის ფრონტი“, წარემართათ იგი უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამჟამად იქ მოუწოდებენ ყველა ქვეყანას — კაპიტალისტურ, განვითარებად, სოციალისტურ ქვეყნებს — აწარმოონ ბრძოლა „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ამასთან პრესაში ყოველნაირად აცხადებენ საქმეყნოდ, ჩინეთი „ზესახელმწიფო“ არასოდეს არ იქნებაო, ხოლო სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ჩინეთის ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტების დროს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების საუკეთესო დამცველია ჩინეთი.

ტრიბონი „ზესახელმწიფო“ პეკინელმა ლიდერებმა ისესხეს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტი ლიდერებისაგან. მათ ეს ტერმინი გამოიყენეს კაპიტალისტური საურდღლების დაცვის ინტერესებისათვის, რომ თავგზა აუბნიათ უწინარეს ყოვლისა ამერიკელი ხალხისათვის, მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, თუნდაც როგორმე მაინც შეენიღბათ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური კურსის იმპერიალისტური, აგრესიული ხასიათი. დამახასიათებელია, რომ ჩინეთ-ამერიკის კონტაქტების მოგვარების მსვლელობაში პეკინში აჭა-იქ გამოჩნდება ხოლმე გამოთქმა „ერთი-ორი ზესახელმწიფო“. ეტყობა, იქ ნიშნავენ ვიზიტის მოლოდინში გადაწყვეტეს შეარბილონ პროპაგანდისტული ხმაური კიდევ: „თქვენ კი არა გვყავართ მზედველობაშიო“.

წამოიჭრება აშკარად ყალბი თეზისია ორი „ზესახელმწიფოს“ შესახებ, რომელიც თითქოსდა უპირისპირდებიან ყველა დანარჩენ სახელმწიფოს, არსებითად კლასობრივი გამეცმლობის აქტია. პეკინში ისწრაფვიან ამგვარად მიჩქმალონ ორი მსოფლიო სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის — ურთიერთ საწინააღმდეგო ბრძოლა, ცდილობენ თავი აარიდონ — და ნამდვილად კიდევეც არიდებენ თავს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ ნამდვილ ბრძოლას, იქაბდეკ კი მიდიან, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსა და მონოპოლიებს უგზავნიან რჩევას, უკეთ როგორ შეუძლიათ მათ კაპიტალისტურ თავიანთი ღონისძიებანი, რომ წინააღუდგნენ „ერთ-ორ ზესახელმწიფოს“. ამასობაში კი ჩინელმა ლიდერებმა მოახდინეს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებთან საკუთარი პოლიტიკური ლაციცის ლეგალიზაცია.

ცდილობენ რა თეორიულად „დასაბუთონ“ განხეთქილება მსოფლიო სოციალიზმთან, მწრმელთა კლასობრივი ინტერესების ფაქტიური გავლენობა, გაამართლონ იმპერიალიზმთან შეთანხმების მიღწევის თავიანთი ხაზი, მაო ძე-დუნი და მისი მომხრეები ეკიდებიან ლენინური ანალიზისადმი ერთგულ მსოფლიოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულ ძალებს, ანტიიმპერიალისტურ ფრონტზე ბრძოლაში ჩაბმულ ძალებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, ანტიფეოდალურ ბრძოლაში ჩაბმულ ძალებს, ანტიიმპერიალისტურ ბრძოლის ბურჯის გვერდით.

„ზესახელმწიფოთა თეორია“ პეკინელ ლიდერებს იმავე მიზნისათვის დასჭირდათ, რომლისთვისაც სჭირდებოდათ თავდანი წინანდელი „თეორია ქალაქის წინააღმდეგ მსოფლიო სოფლის ბრძოლისა“. ერთნიც და მეორეშიც კლასობრივი მიდგომა შეცვლილია ნაციონალისტური, დიდმპყრობელური მოტივებით. როდესაც ჩაეფუშნა ცდები ბეეყოთ მსოფლიო ეკონომიურად განვითარებულ „ქალაქად“ და თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ანუ განვითარებად „სოფლად“, პეკინში გადაწყვეტეს შეეკვეთათ „დარტყმის ფრონტი“, წარემართათ იგი უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამჟამად იქ მოუწოდებენ ყველა ქვეყანას — კაპიტალისტურ, განვითარებად, სოციალისტურ ქვეყნებს — აწარმოონ ბრძოლა „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ამასთან პრესაში ყოველნაირად აცხადებენ საქმეყნოდ, ჩინეთი „ზესახელმწიფო“ არასოდეს არ იქნებაო, ხოლო სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ჩინეთის ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტების დროს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების საუკეთესო დამცველია ჩინეთი.

ჩინეთის ხელმძღვანელობის მზრივ საბჭოთა კავშირისადმი მტრული კურსის განგრძობის თავისებური საშუალება გახდა დაფინებული პროპაგანდა დემაგოგიური, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სრულიად უცხო თეზისისა „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩინეთის ხელმძღვანელობა ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, რომელიც ისეროფეს ასრულებდეს ეტსალატაციისა და ჩაგრის საერთაშორისო სისტემის დარაჯისა და დამცველის როლს, რომელსაც ნერეგა, სიკეთილი და ტანჯვა მოაქვს მსოფლიოს ბევრი ხალხისათვის, დაუყენოს საბჭოთა კავშირის — ლენინიზმის სამშობლოს, პირველი სოციალისტური ქვეყნის, ყველა რეაქციული ძალების ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ბურჯის გვერდით.

„ზესახელმწიფოთა თეორია“ პეკინელ ლიდერებს იმავე მიზნისათვის დასჭირდათ, რომლისთვისაც „თეორია ქალაქის წინააღმდეგ მსოფლიო სოფლის ბრძოლისა“. ერთნიც და მეორეშიც კლასობრივი მიდგომა შეცვლილია ნაციონალისტური, დიდმპყრობელური მოტივებით. ოდესღაც ჩაეფუშნა ცდები ბეეყოთ ეკონომიურად განვითარებულ „ქალაქად“ და თავისი განთავისუფლებისათვის მებრძოლ ანუ განვითარებად „სოფლად“, პეკინში გადაწყვეტეს შეეკვეთათ „დარტყმის ფრონტი“, წარემართათ იგი უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირის წინააღმდეგ. ამჟამად იქ მოუწოდებენ ყველა ქვეყანას — კაპიტალისტურ, განვითარებად, სოციალისტურ ქვეყნებს — აწარმოონ ბრძოლა „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ამასთან პრესაში ყოველნაირად აცხადებენ საქმეყნოდ, ჩინეთი „ზესახელმწიფო“ არასოდეს არ იქნებაო, ხოლო სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ჩინეთის ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტების დროს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ორი ზესახელმწიფოს“ წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების საუკეთესო დამცველია ჩინეთი.

ეს ხაზი განუყრელი ნაწილია საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკისა, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ყოველთმოქცეული პროგრამისა — სოციალიზმის ძალების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგების შეკავშირებისათვის, მთელი იმ ძალების კოსოლიდაციისათვის ბრძოლის პროგრამისა, რომელებიც ილაშქრებენ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის, რეაქციისა და აგრესიის წინააღმდეგ. მშვიდობის პროგრამამ, რომელიც წამოყენებულია სკკპ XXIV ყრილობის მიერ და რომელიც მთელი პლანეტის ხალხთა ძირეულ ინტერესებს შეესაბამება, უკვე გახდა თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ფენომენი. ამ ფენომენის ერთ-ერთი ასპექტია ის, რომ ამ ფენომენისადმი ჩინეთის ხელმძღვანელობა ეკიდება ეჭვიანობა, ეშმაკობა, ბოროტება, ეჭვიანობა, ეშმაკობა, ბოროტება.

ჩვენი პარტია და ხალხი ერთსულოვნად იწონებენ იმას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ინარჩუნებენ თავდაჭერილობას, არ ჰყვიანან პროვოკაციებს და აკეთებენ ყველაფერს, რაც კი სსრ კავშირზეა დამოკიდებული, რათა მიაღწიონ ჩინეთის ხალხსო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას, საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის აღდგენასა და განვითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

ჩინეთის ხალხთა რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კონსტრუქციული ხაზი მომმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ძალების გაგებასა და მოწონებას პოულობს. იგი იწვევს ყველა იმათ სიმპათიებს, ვისთვისაც ძვირფასია ჩინეთის ნამდვილი ეროვნული ინტერესები, რომლებიც განურყოფად დაკავშირებულია მსოფლიო სოციალიზმის პოზიციებთან, საბჭოთა კავშირთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის ინტერესებთან.

ეს ხაზი განუყრელი ნაწილია საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკისა, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის ყოველთმოქცეული პროგრამისა — სოციალიზმის ძალების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, საერთაშორ ი ო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგების შეკავშირებისათვის, მთელი იმ ძალების კოსოლიდაციისათვის ბრძოლის პროგრამისა, რომელებიც ილაშქრებენ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის, რეაქციისა და აგრესიის წინააღმდეგ. მშვიდობის პროგრამა, საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის აღდგენასა და განვითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კონსტრუქციული ხაზი მომმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ძალების გაგებასა და მოწონებას პოულობს. ეს ხაზი ეფუძნება ბოლშევიზმის, ინტერნაციონალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებისადმი ერთგულ ლენინურ ანალიზს

დღეს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

ჯავა

გვეტყობინება ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ი. თედიაშვილი

კურორტი ფართოვდება

„ძაუს“ ყოველწლიურად მრავალი დამსვენებელი პყავს. მოდიან სამკურნალოდ ურალელი მეტალურგები, დონბასელი მეშახტეები, ბაქოელი მენავთობეები, მოსკოველი, ლენინგრადელი მანქანათმშენებლები... მოდიან, ჯანმრთელობას იკეთებენ და კმაყოფილი უბრუნდებიან საქუშაოს.

ჯავაში უკანასკნელ წლებში ბავშვთა სახლებიც აშენდა, უფრო კეთილმოწყობილი გახდა კურორტი, მისი მიდამოები.

ხიდი მდინარე ლიახვზე

სწრაფად მიმდინარეობს ხიდის მშენებლობა რაიონულ ცენტრში, მდინარე ლიახვზე.

ის რაიონული ცენტრის ორ ნაწილს შეაერთებს, ჯავას დუკავშირებს სოფლებს ბუზალას, კოდიბინსა და სხვებს.

მშენებლობას აწარმოებს № 13 საგზაო-სამშენებლო სამმართველო. ხიდი საექსპლოატაციოდ გადაეცემა მომავალ წელს.

ჯიშთა გამოცდის ნაკვეთში

ჯავიდან 6-7 კილომეტრის დაშორებით სოფელ კროზასთან, ზღვის დონიდან 1.400 მეტრზე მდებარეობს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო საცდელი ნაკვეთი. იგი ეწევა კარტოფილისა და ბოსტნეულის ჯიშების გამოცდას მთის ზონის ურწყავ პირობებში.

ამ მცირე ნაკვეთზე, რომელსაც მხოლოდ ორიოდე ჰექტარი უჭირავს, მაღალი მოსავლიანობით თავი გამოიჩინეს „მაიესტიკის“ ჯიშის კარტოფილმა, აგრეთვე „ნადეჟდამ“; ჰიბიდორის ჯიშებიდან „მოლდავეთრმა საადრეოდმ“, საშემოდგომო „გრიბოვის 320“-მა.

წელს ამ კულტურების უხვი მოსავალია. შემოდგომაზეც რჩევა-დარიგებას მისცემენ მთის სოფლებს, თუ როგორ ჯიშის თესლი უნდა გამოიყენონ.

სასტუმრო კვაისაში

იზრდება და ლამაზდება მეშახტეთა დაბა კვაისა. საცხოვრებელ სახლებთან ერთად შენდება კულტურის კერების, კომუნალური დანიშნულების ნაგებობანი. წელს მწყობრში ჩადგა ახალი, ოთხსართულიანი სასტუმრო.

შინმოუსვლელთა ქუჩა მთაში

სოფელ ვანეში ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ამ სოფლის ბევრი მკვიდრი იბრძოდა სამამულო ომის ფრონტზე. ბევრი მათგანი დიდების სახელით დაუბრუნდა თავის კერას, სოფელს, ხოლო 50-ზე მეტი გმირულად დაეცა ფაშისტებთან ბრძოლაში.

სამამულო ომის ვეტერანებმა ითავეს სოფლის ულამაზეს ადგილას, მაღალ გორაზე აეგოთ შინმოუსვლელთა ქუჩა. მეელი სოფელი შრომობდა ამ საქმეზე. დიდება ჯარისკაცის ფიგურა, რომელიც სოფელს გადაყურებს. იქვე მოეწყო პატარა სკვერი.

სურათზე: სანატორიუმი „ძაუ“.
ფოტო მ. ალგორეულისა.

ხიდის ზურგზე...

ყარა-ყალის რაიონის კოლმეურნეობა „ზახმატის“ მეცხვარე მწყემსები ბ. ყარაევი, ა. რეჯეფოვი და დ. ხოჯაყურბანოვი ასეთ სანახაობას ალბათ თავის დღეში არ შესწრებიან: უზარმაზარ თეთრ ქოფაკებს იერიში მიეჭიდათ ჯიქზე, რომელიც გახელებული აქეთ-იქით აწყდებოდა. მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ მტაცებელს ზურგზე მოსჯდომოდა მათი მეგობარი ორაზ ტომილიევი და ჯიქი ყურებით მაგრად ეჭირა.

რა მოხდა? თურმე ჯიქი ფარას მიეპარა, მაგრამ ქოფაკები ფიზლად იყვნენ და კუდამოძოებულმა უკან მოუხვია. სწორედ ამ დროს იგი მოულოდნელად მწყემსს შეეფეთა. ორაზმა იმარჯვა, მტაცებელს თავისი პიჯაკი მარდად ჩასჩარა პირში, ყურებში ხელი სტაცა და ზურგზე მოაჯდა. მამაც მწყემსს მალე ამხანაგები მიეშველნენ და ჯიქი დაიმორჩილეს.

„ტურკმენსკაია პრავდა“.

სტუმრად ჩეხოსლოვაკიელი ახალგაზრდები

რუსთავი. (ხაკ. კორ.). კომკავშირის წინასწიუბალეო დღეებში რუსთაველ ახალგაზრდებს ძვირფასი სტუმრები ეწვევნენ ჩეხოსლოვაკიიდან. ესენი არიან ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები. დელეგაციის ხელმძღვანელობდა სლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიის განყოფილების გამგე ანდრია შალინგი.

რუსთაველმა ახალგაზრდებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. გააცნეს ქალაქის ისტორია, მისი აწყოა და მომავლის პერსპექტივები. განსაკუთრებული უყურადღება გამახვილებულ იქნა კომკავშირის 50 წლისთავის იუბილესთან ბ. ბ. ბ. ... ...